ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 215

ქალაქი ქუთაისი 29 აგვისტო 2019 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ნოემბრის № 26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-8 პუნქტის, 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის, 23-ე მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომან ქვაჩაკიძის 2019 წლის 6 აგვისტოს №499-02 წერილობითი განცხადებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, რომან ქვაჩაკიძე. გამომდინარე აქედან, შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ნოემბრის N26 განკარგულებაში. კერძოდ, შეიცვალოს განკარგულების პირველი მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „**მუხლი 1.** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობა საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან:

1. გვენეტაძე ლაშა;
2. არჩაია ელეონორა;
3. წულეისკირი დათო;
4. ქვაჩაკიძე რომან .“.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომან ქვაჩაკიძის 2019 წლის 6 აგვისტოს N499-02 წერილობითი განცხადება წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია